საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი

სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2018

27 სექტემბერი 2018

12:00, კინოდარბაზი

სემინარი

კულტურული მემკვიდრეობა - 110 წლის ქართული კინო

ქართული კინო 110

110 YEARS OF GEORGIAN CINEMA

თბილისი 2018

ორგანიზატორები:

ნატო გენგიური, პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ზვაიდ დოლიძე, პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი

მისამართი:

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი,

II კორპუსი, აღმაშენებლის №40

მიმდინარე წელს ქართული კინო აღნიშნავს თავისი არსებობის 110 წლისთავს. ეს თარიღი საკმაოდ მნიშვნელოვანია ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, რადგან სწორედ აქ გადაიღეს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკის მოგზაურობა“ (1912). ქართული კინემატოგრაფი სრულფასოვნად ამუშავდა XX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ჩამოყალიბდა ჯერ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კინოსექცია, ხოლო შემდეგ - სააქციო საზოგადოება „სახკინმრეწვი“. მისი ეგიდით გაკეთდა არაერთი საინტერესო ნიმუში, რომელთა ავტორები იყვნენ ნიჭიერი ქართველი კინომოღვაწეები: ალექსანდრე წუწუნავა, მიხეილ ჭიაურელი, კოტე მიქაბერიძე, კოტე მარჯანიშვილი, ნიკოლოზ შენგელაია, მიხეილ კალატოზიშვილი და სხვ.

ქართული კინოწარმოება ამზადებდა როგორც ეროვნული, ისე უცხოური ლიტერატურის ეკრანიზაციებს, რომლებიც პოპულარობით სარგებლობდნენ მაყურებელში. ამასთან ერთად, 20-30-იანი წლების მიჯნაზე კინოეკრანებზე გადიოდა ორიგინალური სცენარების მიხედვით შექმნილი კინოსურათებიც. იმხანად, საქართველოში მოწესრიგდა კინოდემონსტრაციისა და კინოდისტრიბუციის სისტემები. კინოთეატრები სრული ანშლაგით მუშაობდნენ. კინემატოგრაფისტების რიგებს ემატებოდნენ ახალ-ახალი თაობების წარმომადგენლები, რომლებსაც მოჰქონდათ ახალი იდეები, თემები, ტენდენციები.

50-იანი წლების დასაწყისიდან ქართულ კინოში დაიწყო რეფორმების ხანა. თბილისის კინოსტუდია გადაკეთდა კინოსტუდია „ქართულ ფილმად“ და დაესახა ახლებური მიზნები და ამოცანები. თენგიზ აბულაძის, რევაზ (რეზო) ჩხეიძისა და სხვათა გამოჩენით დასაბამი დაედო განსხვავებულ კინოაზროვნებას, რაც წარმატებით გააგრძელეს და მას ბევრი რამ შემატეს მომდევნო ათწლეულში ასპარეზზე გამოსულმა, ე. წ. „სამოციანელებმა“ (ოთარ იოსელიანი, მერაბ კოკოჩაშვილი, ელდარ და გიორგი შენგელაიები, ლანა ღოღობერიძე და სხვ.). მათი ნამუშევრები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ორიგინალური სტილისტიკით, საგნებისა და მოვლენებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით, კინოენისა და კინოს გამომსახველობითი კულტურის სრულიად განსხვავებულ რელსებზე გადაყვანით.

ეროვნული კინემატოგრაფის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ე. წ. „ოთხმოციანელებმაც“, რომელთა უმეტესობას დამთავრებულ ჰქონდა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტი. მათ რეალობას შეხედეს სხვა თვალით, დააფუძნეს ახლებური ხედვა, გამოიკვლიეს სოციალური ცხოვრების არაერთი ასპექტი, რასაც დადებითი შემოქმედებითი ძვრები მოჰყვა.

ნაყოფიერად მუშაობდნენ ქართველი კინოდოკუ-მენტალისტები და ანიმატორები. ისინი ქმნიდნენ გამორჩეულ კინოპროდუქციას, რომელთა ნაწილი საერთაშორისო კინოფესტივალებზე ღირსეული ჯილდოებით აღინიშნა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართულმა კინომ რადიკალური ცვლილებები განიცადა. წინ წამოიწიეს პრობლემატურმა კინოსურათებმა, რომლებიც ხასიათდებოდნენ აქტუალური საკითხების დემონსტრირებით, რეალისტური ფერებით, ფორმის უბრალოებით, ფასეულობების გადაფასებით.

ახალ საუკუნეს ახალი პროექტები მოჰყვა. ეროვნული კინოცენტრის დაარსებამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი კინოწარმოების პროცესის მოწესრიგებას,

შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლების შექმნას, საავტორო უფლებების დაცვას და ა. შ. ბოლო დეკადებში რამდენიმე ქართული ფილმი დაიხუნძლა საერთაშორისო პრიზებით, მათ შორის, მთავარი პრიზებით პრესტიჟულ საზღვარგარეთულ კინოფესტივალებზე. მართალია, დღესდღეობით წელიწადში მხოლოდ ორიოდე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ნამუშევარი (და ასევე, სხვა, მცირე ფორმატის მხატვრული, დოკუმენტური თუ ანიმაციური ფილმი) გამოდის, თუმცა ეროვნული კინემატოგრაფის მესვეურნი იმედს არ კარგავენ, რომ სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მხრიდან სათანადო დახმარების მიიღებენ და კვლავაც გაახარებენ მაყურებელს თავიანთი ნიშანდობლივი კინოსურათებით.

ზვიად დოლიძე

პროგრამა

ლელა ოჩიაური – მიხეილ კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთე“ და ნუცა ღოღობერიძის „ბუბა“ – პარალელები

მანანა ლეკბორაშვილი – ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლე ქართველ სამოციანელთა შემოქმედებაში

გიორგი რაზმაძე – ქართული კინკრიტიკის საწყისებთან

მზია მანჯავიძე – ოთარ იოსელიანის „ზამთრის სიმღერა“ პოეტურად გააზრებული რეალობა

მაია ლევანიძე – რეალისტური ტენდენციები ოთარ იოსელიანის ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“

ნანა დოლიძე – ქართული კინომემკვიდრეობა – ფირზე აღბეჭდილი ისტორიის ახალი სიცოცხლე

ზვიად დოლიძე – ნეორეალიზმის გავლენა ქართულ კინოზე

დისკუსია

14:00 ფილმის ჩვენება – ქართული მხატვრული ფილმი „სოლომონი“. რეჟისორი – **ზაზა ხალვაში**